ახსნა-განმარტება

გაცნობებთ, რომ ჩემი საცხოვრებელი ფართი მისამართზე ვაჟა ფშაველას 2 კვარტალი 33 კორპუსი (საკადასტრო კოდი: 01.14.03.017.001) ბინა 3ა (საკადასტრო კოდი: 01.14.03.017.001.01.003ა), მიშენება-დაშენებულ კორპუსშია და მისი ტერიტორიული მდებარეობა ცენტრალური ქუჩისგან დაშორებით შიდა ეზოებით შემოიფარგლება. შესაბამისად, ჩემი საცხოვრებელი ფართის ფანჯრებიც შიდა ეზოს მხარეს იყურება.

ჩემი კონდიციონერის გარე აგრეგატი, რომელიც 2013 წლიდან დაყენებული მქონდა ჩემი საცხოვრებელი ბინისა და სადარბაზოს შესასვლელთან არსებულ გამოყოფილ სივრცეში, ჩემი მოშენებული კედლის ნაწილზე, მეზობლის ჩივილის საფუძველზე ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მითითებით, 2025 წლის 8 დეკემბერს ჩამოვხსენი. ჩემმა მომჩივანმა მეზობლებმა ხათუნა გოგოჭურმა და ზვიად ეჯიბაძემ, რომლებიც კორპუსის განაპირად ბინა №1ა-ში (საკადასტრო კოდი: 01.14.03.017.001.01.001ა) ცხოვრობენ და ფაქტობრივად შემხებლობაში არ არიან ჩემს კონდიციონერთან, არც ჩემი კონდიციონერის წვეთები აწუხებთ და არც გარე აგრეგატის დაბალი ხმაური, მერიის მუნიციპალურ ინპექციაში მიჩივლეს მათივე უკანონო მოშენებების დემონტაჟის საპასუხოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისგან 2013 წელს სარეცხის გასაფენ ჯოხებზეც კი მაქვს სანებართვო დოკუმენტაცია აღებული, აქამდე ინფორმირებული არ ვიყავი კონდიციონერის მონტაჟი თუ საჭიროებდა აღნიშნული სამსახურისგან თანხმობის მიღებას.

ამიტომ მე, როგორც კანონმორჩილ ბინის მესაკუთრეს, გთხოვთ მომცეთ კონდიციონერის გარე აგრეგატის მონტაჟის ნებართვა ჩემი, როგორც ბინის მესაკუთრის კედლისა და სადარბაზოს შესასვლელთან გამოყოფილი სივრცის მომიჯნავე კედლის იგივე ნაწილში წარმოდგენილი №1 ფოტომონტაჟის მიხედვით, ან ალტერნატიულ ვარიანტად №2 ფოტომონტაჟის მიხედვით. №2 პროექტითა და ფოტომონტაჟით ჩემი კონდიციონერის გარე აგრეგატი შესაძლებელია განთავსდეს მხოლოდ ჩემი საცხოვრებელი ფართის ბლოკის კედელზე, ფასადის კუთხის ნაწილში (ფანჯრის სიახლოვეს).

კონდიციონერის გარე ბლოკის შეფუთვა მოხდება ლითონის მასალისგან დამზადებული თეთრი ფერის ცხაურით.

პატივისცემით,

მზეხა მახარაძე